1990 წლიდან პერიოდში მიუხედავად იმის, რომ არსებობდა სახელმწიფოს მხრიდან არანაირი ხეშეწყობა და ორგანიზება სოფლის მეურნეობისა და აგრონომიის განვითარების თვალსაზრისით, მოსახლეობამ თავის თავზე აიღო და შეინარჩუნა საბჭოთა დროინდელი აგრონომიური მკვიდრების შედეგად მიღებული ცოდნა. მართალია არ არსებობდა ექსპორტის არანაირი საშუალება, წარმოება, რომელიც მიღებულ მოსავალს ჩაიბარებდა წარმოებისათვის და მოხდებოდა რეალიზაცია, ამიტომ დროთა განმავლობაში მოხდა დეკაპიტალიზაციის პროცესი.

2004 წლიდან საქარველოში დაიწყო ახალი რეფორმების და მათ შორის სოფლის მეურნეობასა და აგრონომიის განვითარების თვალსაზრისით. ახალმა ხელისუფლებამ შესთავაზა მოსახლებას “ლიბერტიარიული” პარადიგმა რაც ნიშნავდა იმას, რომ სოფლის მეურნეობის სექტორის ჩამოყალიბებას და მის განვითარებას ეკონომიკის განვითარებისა და ექსპორტის თვალსაზრისით პრიორიტეტულად არ მიიჩნეოდა და სოფლის მეურნეობის განვითარება იმ მომენტისათვის იქნებოდა ჩამორჩენილობის და განუვითარებლობის მაჩვენებელი. (იგივე... გვ. 5)

ყოველივე მის შემდეგ აგრალურმა სექტორმა დაიწყო უკუსვლა, რამაც გამოწვია სოფლის მეურნეობის მოსპობა და სოფლად მცხოვრები ადამიანების უკიდურეს გაჭირვებამდე მიყვანა, საქართველოს სოფლად მცხოვრებამა ადამიანებმა მასიურად დაიწყეს სოფლების დატოვება და საზღვარგარეთ წასვლა.

2010-2012 აგრარულ სექტორის ხელისუფლებამ მიანიჭა უპრატესობა და დაიწყო ახალი ინოვაციების და ხელიშემწყობი პროგრამების დანერგვა, პრიორიტეტულობის ფუნქცია შეიძინა. თუმცა არაფერი განსაკუთრებული ამ ქმედებებს არ მოჰყოლია. (იგივე... გვ. 11)

მოცემული მომენტისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობა საჭიროებს განვითარებას, რათა მოხდეს ხალხის სოფლებში დაბრუნება. ამისათვის საჭიროა რიგი ღონისძიებების გატარება, რათა მინიმალურ დონეზე მოხდეს მეურნეობის განვითარება, იმდონეზე, რომ სოფლად მცხოვრებმა ხალხმა შეძლონ თავის გამოკვება.

მნიშვნელოვანია განხილულ იქნას რა პოტენციალს ფლობს მოცემული მომენტისათვის საქართველო, აქვს თუ არა საჭირო ბაზარი იმისათვის, რომ მოხდეს მიღებული მოსავლის რეალიზება და ადგილობრივმა მოახერხეს მიღებული პროდუქციის გაყიდვა. მიცემული გლობალური ბაზრები და ქვეყნებს შორის არსებული სავაჭრო ურთიერთობები იძლევა იმის საშუალებას, რომ ადგილობრივ ბაზარზე პროდუქციის არ არსებობის შეთხვევაში ჩაანაცვლო ის ინპორტირებული პროდუქციით. (იგივე... გვ. 12)

სოფლის მეურნეობის ნიშვნელობა და მისი აქტუა ტრადიციულად, როგორც ეკონომიკური რეფორმის და შეცვლის მნიშვნელოვანი სფეროსი, ასევე, ღია სავაჭრო ურთიერთობებით გამოწვეული მიდგომა, რომლის თანახმად მიზანშეწონილია

შეფარდებითი უპირატესობის მქონე დარგების განვითარება – ყველაფერი ეს წარმოქმნის აგრარული სექტორის განვითარებისადმი განსხვავებულ მიდგომებს.

საქართველოსათვის, როგორც ქვეყნისთვის ძალზედ სამწუხარო ფაქტია, რომ იგი მოიხმარს უფრო მეტ იმპორტირებულ საკვებს ვიდრე აწარმოებს ქვეყანაში. ამიტომ მუდმივად ხდება სავალუტო ბირჟაზე სახელმწიფო ფულადი ერთეულის ცვალობადობის დროს პროდუქტის გაძვირება. (იგივე... გვ. 12)

მნიშვნელოვანია ქართველი მეცნიერების და საზოგადოების აზრი იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობა წარმოადგენს მნიშვნელოვან დარგს ქვეყნის ეკონომიკაში და მისი განვითარება ცალსახად მნიშვნელოვანი არის ერთპიროვნულად დადებითი და შეთანხმებული, თუმცა არ არსებობს იმის განსაზღვრება თუ რამდენად უნდა იქნას ის განვითარებული, უნდა მოხდეს მისი კომერციული თვალსაზრისით განვითარება თუ უნდა დარჩეს უბრალოდ კერძო სასურსათ უზრუნველყოფის მნიშვნელობის მქონე დარგად. ასევე არ არის განსაზღვრული და მკაფოდ ჩამოყალიბებული რა შეიძლება გაკეთდეს ქვეყნის აგრონომიისა და მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით, გამომდინარე იქედან, რომ არ არის გარკვეული რა ტიპის პოლიტიკა აქვს სოფლის მეურნეობას, აქვს თუ არა მას ეკონომიკაში მოაზრებული ადგილი, ისე როგორც განვითარებულ, პრიორიტეტულ სექტორს.

თუმცა სკეპტიციზმი მაინც იბადება, როდესაც დგება საკითხი, თუ რა რესურსი და ინვესტიციები სჭირდება დარგის კრიზისიდან გამოყვანას, რამდენად შეუძლია დღევანდელი თავისუფალი გლობალური კონკურენციის პირობებში ამ დარგის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ ამ დარგის განვითარებისათვის. (იგივე... გვ. 15)

რამდენად შეიძლება მრავალრიცხოვანი შინამეურნეობების ამაღლება და შევძლებთ თუ არა, მისგან მოტანილმა სარგებელმა გადააჭარბოს იმ კოლოსალურ ხარჯებს, რომელსაც ეს დარგი იყენებს. დღეს საქართველოში აგრარული მეურნეობა ნელი ტემპით ვითარდება და ვერ უზრუნველყოფს მაღალეფექტიანობას. ქართველი ფერმერები გადააწყდნენ სრულიად განსხვავებულ წინააღმდეგობებს, გაჩნდა ბაზარზე დაბალფასიანი პროდუქტები, დაიწყო სოფლის მეურნეობის განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, დაბალი კვალიფიკაცია, ტექნოლოგიების ნაკლებობა. რამდენად

შეუძლია სოფლის მეურნეობას, შეასრულოს სიღარიბის დაძლევის როლი და გახდეს შემოსავლების ზრდის წყარო. სოფლის მეურნეობა ძირითადად დაკავშირებული იყო პროდუქციის შექმნასთან, რომელიც დააკმაყოფილებდა საარსებო მოთხოვნილებებს.

სოფლის მეურნეობის განვითარება შესაძლებელია სხვა ეკონომიკური საქმიანობისგან დამოუკიდებლად. თუმცა, სოფლის მეურნეობებისა და მიწის შეზღუდული რაოდენობას დამოკიდებულება იმას ნიშნავდა, რომ მისი სამომავლო გაფართოება ყოველთვის იქნებოდა შეზღუდული. რეალურად ცხადი იყო, რომ მოსახლეობის ზრდასთან ერთად მოიმატებდა მოთხოვნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, რაც აუცილებლად მოითხოვდა სოფლის მეურნეობისა და მოსახლეობის ზრდის პარალელურად. (იგივე... გვ. 15)

ნათელი იყო, რომ სოფლის მეურნეობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დარგია, თუმცა მისი სამომავლო განვითარება გარკვეულ ზღვარს ვერ გასცდება.

ერნს ენგელის კანონი სოფლის მეურნეობის ჩამორჩენას განსაზღვრავდა, რომლის მიხედვით, შემოსავლების ზრდასთან ერთად დანახარჯები მცირდება კვებაზე. ეს კი, იმის აღიარებას ნიშნავდა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ადგილი ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მისი წარმოება გადააჭარბებდა მოსახლეობის ზრდას. თუ ჩავთვლით, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება უმოძრაო დარჩება, დასაქმება გაიზრდება არასასოფლო-სამეურნეო სფეროში, პროდუქციაზე ფასები გაიზრდება, რასაც არასასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმებულთა ანაზღაურების შემცირება მოჰყვება.

1980-იან წლებამდე გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ სოფლის მეურნეობა უნდა დაეებგრა, თუმცა უკვე შემდგომი პერიოდიდან მიხვდნენ, რომ არცერთი დარგის განვითარება არ შეიძლება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. (იგივე... გვ. 13)

შესაბამისად, ნელნელა უკანა პლანზე იწევდა აზრი სოფლის მეურნეობის როლის შესახებ და გაჩნდა მოსაზრებები, რომ სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მშპ-ს ზრდაში. სოფლის მეურნეობაში შრომის ზრდის შედეგად ძალამ გადაინაცვლა სხვა სექტორებში.

სოფლის მეურნეობას ყველაზე მჭიდრო კავშირი აქვს მრეწველობის სხვა დარგებთან, ვიდრე დანარჩენ დარგებს ერთმანეთთან, რაც ხასიათს ება იმით, რომ

სოფლის პროდუქცია იყიდება ადგილობრივ ბაზარზე. ქვეყანაში სოფლის მეურნეობა შეიძლება ცუდად იყოს შერწყმული სხვა დარგებთან. (იგივე... გვ. 16)

იბადება ექვებიც იმის მცირე ფერმერები რამდენად შეძლებენ, რომ გაუძლონ საერთაშორისო კონკურენციას და დააკმაყოფილონ ბაზარის მოთხოვნილებები. ამ დროს კი ინვესტორთა ინტერესები დიდი რისკის ქვეშ დგება.

შესაბამისად, ფერმერებს, რომლებსაც ცუდი ინფრასტრუქტურა აქვთ, პერსპექტივები არ გააჩნიათ. ტექნიკური ცვლილებები, დიდი დანადგარები, ტრაქტორები და მანქანები განაპირობებს დიდი მეურნეობების შექმნის წინაპირობებს. სოფლის მეურნეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებისათვის, მათ შორის საქართველოს ჩათვლით, სადაც ბევრია მცირე ფერმები, უმუშევრობის მაღალი დონე, ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკის ზრდა კაპიტალიზმის ტენსიურ დარგებს ემყარება, ფერმერების განვითარების მეტი შესაძლებლობები აქვთ. (იგივე... გვ. 17)

სამეცნიერო ლიტერატურაში სოფლის მეურნეობა განიხილება, როგორც ინდუსტრიალიზაციის წინაპირობა. იგი უწილადებს კვების პროდუქტებს, იყენებს სხვა დარგების რესურსებს, პროდუქციას და არის ერთ-ერთი დიდი დასაქმების სფერო. ამ დროს ქვეყანა არ არის დამოკიდებული იმპორტზე. დიდი ადგილი უჭირავს მსხვილი ფერმერული მეურნეობისა და მცირე მეწარმეობის განვითარებას.

დღესდღეობით არ არსებობს ლიტერატურა, რომელიც დაამტკიცებს ჩვენს ქვეყანაში მსხვილი მეურნეობის სტრატეგიულ მნიშვნელობას. სოფლის მეურნეობის განვითარება მაშინ არის შესაძლებელი, როცა მასთან დაკავშირებულ სხვა დარგებსაც განვითარებს. როდესაც სტრატეგიული პოლიტიკა საბაზრო განვითარებისთვის არის მიმართული, შესაბამისი გარემოს ფორმირებისაკენ, სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის მქონე მცირე ფერმები სიღარიბის დაძლევიდან ნელ-ნელა იძენენ კომერციულ მნიშვნელობას. (იგივე... გვ. 17)

2.2 სოფლის მეურნეობის როლი სახელმწიფო ეკონომიკის განვითარებაში

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებაში სახელმწიფოსა და ქვეყანაში შერჩეულ ეკონომიკურ პრიორიტეტებსა და პოლიტიკას

დიდი მნიშვნელობა აქვს. მსოფლიოში რიგი ქვეყნები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ სოფლის მეურნეობის განვითარებას და ამის ხარჯზე ქვეყანაში იმპორტი შეამციროს.

როგორც უკვე ნაშრომის წინამდებარე თავებში იყო აღნიშნული, საქართველომ სოფლის მეურნეობის კუთხით გაიწერა რამოდენიმე ეტაპი. ბოლო ოცი წლის განმავლობაში ეფექტური არცერთი პროექტი არ ყოფილა, რომელიც სახელმწიფოს მიერ იქნა შემუშავებული. (FAO .2012. 15)

საქართველოში მუდმივად დგას დღის წესრიგში სოფლის მეურნეობის განვითარება და აგრონომიის განვითარებას. საქართველოს ეროვნული სტატისტიკის მიხედვით საქართველოს 50% დასაქმებულია სოფლის მეურნეობის დარგში, თუმცა მას ბიუჯეტში გადასახადების გადახდის მხოლოდ 10 % წილი აქვს. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია სახელმწიფომ მოახდინოს აღნიშნულ სფეროში დასაქმებული ადამიანების დახმარება და განავითაროს ამ სექტორის დახმარებით ქვეყნის ეკონომიკა. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

მნიშვნელოვანი აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად პირველი მნიშვნელოვანი ჩარევა სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით იყო 2008 წელს განხორციელებული პროექტი, სოფლის მეურნეობის მექანიზაციას იღეით, რომლის ფარგლებში სახელმწიფომ 349 ტრაქტორი გასაცა მრვალწლიანი განვადებით, იმ მეწარმეებს ვინც მოახრხა და გაიმარჯვა სოფლის მეურნეობის სამთავრობო პროგრამაში. მოგვიანებით მათ ვერ შეძლეს ტექნიკის საფასურის გადახდა და ისინი ჩამოართვეს. (იგივე...)

აღნიშნული სოფლის მეურნეობის პროგრამამ შეიცვალა სტრატეგიები და ამას რამოდენიმე გამომწვევი მიზეზი იყო. პირველი იყო ის, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოხდა ფასების ზრდა მსოფლიო ბაზარზე, ხოლო საქართველოს უმეტესი რესურსის შევსება ხდება იმპორტის საშუალებით, სწორედ ამიტომ მოხდა ინფლაცია ეროვნული ვალუტის. ხელისუფლებამ ამის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება გაემდიერებია სოფლის მეურნეობა და დახმარებოდა ადგილობრივ მოსახლებას ამ დარგის განვითარებაში. ამისთვის , მან მოახდინა ქვეყანაში ჰიბრიდული სიმინდის შემოტანა და მოსახლებას მისცეს უსასყიდლოდ იმისათვის, რომ მათ დაეთესა და მიეღო მოსავალი.

სახელმწიფომ განახორციელა მისი დარიგება თესლის სახით, რაც გარკვეულ რაოდენობას ურიგებდა უსასყიდლოდ, ხოლო ისინი ვისაც დიდი წარმოება ჰქონდა ყიდულობდნენ, მათ შორის კრედიტისა და ბანკის შუამავლობის მეშვეობით. (იგივე...)

სამწუხაროდ აღნიშნული პროექტი დასრულდა კრახით, მის მიზეზად მიჩნეულ იქნა მისი შეუთავსებლობა საქართველოს კლიმატთან, მას არ ქონდა ის თვისებები რაც ადგილობრივი სიმინდის კულტურებისათვის იყო დამახასიათებელი და მიღებული მოსავალი საკვებად ვერ იქნა გამოყენებული. (იგივე...)


ზოგი მის მიზეზად არასწორ დაგეგმარებას მიიჩნევდა და ზოგიც კორუფციას, საბოლოო ჯამში წარმატება ვერ მოიტანა და ის ადამიანები ვინც განახორციელა ინვესტიცია ბანკისა და კრედიტის დახმარებით საგრძნობლად დაზარალდა, როგორც კერძო პირები ისე სახელმწიფო ბიუჯეტიც.

სოფლის მეურნეობის წარმოებას თვითონ სახელმწიფოც უშედეგოდ ახორციელებს რაც არაკორდინირებული იყო მისი საქმიანობა, არ იყო შეთანხმებული სამინისტროსთან საც უწყებაში არსებულ პრობლემებზე მეტყველებს. (იგივე...)

2012 წლის მთავრობის შეცვლის შემდეგ სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულ დარგად იქნა მიჩნეული, მაგრამ, შეიცვალა პოლიტიკა სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებთან დაკავშირებით. სახელმწიფო თავად აღარ ახორციელებდა წარმოებას და სათესლე მასალის შექმნას, თუმცა ეხმარება მოსახლებას მიწის სამუშაოების შესრულებაში ტექნიკით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლება მემკვიდრეობით მიღებულ საწარმოებს, რომელიც წინა ხელისუფლებისგან ერგო ისევ ამუშავებენ, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს საწარმოები წაგებაზე მუშაობენ და მათ შემოსავალს არანაირი მზარდი მაჩვენებელი არ აქვს. (იგივე...)

2015 წლისათვის საქართველოში დარეგისტრირებულია 71 სახელმწიფოს კუთვნილებაში მყოფი საწარმო. მათ ხელმძღვანელობს და მეთვალყურეობს სამი სახელმწიფო უწყება: სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო - 11 საწარმო; სოფლის მეურნეობის სამინისტრო - 1 საწარმო; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“ - 59 საწარმო.

მნიშვნელოვანია განხილულ იქნას არსებული 71 საწარმოდან რამდენიმე იყო მოქმედი. მეტი სიცხადისათვის იხილეთ გრაფიკი N. 4



(საქართველოს რეკონომიკის სამინისტრო სტატისტიკა)

ძალზედ არალოგიკური და ყურადღება მისაქცევია ის ფაქტი, რომ საწარმოების მიუხედავად წაგებაზე მუშაობისა მაინც აგრძელებენ ფუნქციონირებას სახელმწიფო არ ახორცილებს მათთან დაკავშირებით არც ინოვაციების დაგეგმვას და რეფორმის ჩატარებას, არ აჩერებს წარმოებას. მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული საწარმოებიდან 11 ერთეული არის „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“ მმართველობაში.

უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდში სახელმწიფო ახდენს გარკვეულ რეგიონებში ხელშეწყობას მიღებული მოსავლის ჩაბარებასა და წარმოების თვალსაზრისით. დგინდება საბაზრო ფასი ჩაბარების და გლეხები მიღებულ მოსავალს ერთიანად აბარებენ გადამამუშავებელ საწარმოებში. ყოველწლიურად ხდება ღვინის მოსავლის ჩაბარება.

ამასთანავე იქნა დაფუძვნება შპსს „მექანიზმის“ რომლის ამოცანა იყო ფერმერთა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომსახურება. აღნიშნული შპს შექმნა მიზნად ისახავდა სოფლის მეურნეობის სფეროში არ არსებული ტექნიკის შევსებასა და მოსახურების უზრუნველყოფა. (FAO .2012. 16)

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ შპს „მექანიზატორს“ ქვეყნის ტერიტორიაზე აქვს 12 სერვისცენტრი, რომლთა ტერიტორიაზე არის 1069 ტრაქტორი, 81 კომბაინი და 5000 იმპლემენტი. სხვადასხვა ტენდერების ფარგლებში საწარმოსთვის შეძენილი

დაგროვილი აქტივების რაოდენობამ 300 მილიონი ლარი შეადგინა. მას დასაქმებული ყავს 400 საქართველოს მოქალაქე. მისი საქმიანობა ორი სახისაა ძირითადად:

- სახელმწიფოს ფარგლებში შემუშავებული პროგრამის ტექნიკით უზრუნველყოფა.
- კერძო მეწარმეების მომსახურება.

სახელმწიფომ ასევე შეიმუშვა რამოდენიმე რეგიონში შექმნა სხვადასხვა სახის მეურნეობა, მაგალითად „გორის სასათბურე მეურნეობასა“ და შპს „საქართველოს სათბურების კომპანიას“ . „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციის“ მიერ შეიქმნა შპს „მარცვლეულის ლოჯისტიკის კომპანია“, რომლის საქმიანობის სუბიექტად მიჩნეულ იქნა მარცვლეულის პროდუქტების მოყვანა, გადამუშავება, ვაჭრობა და მასთან დაკავშირებული საქმიანობა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კომპანიამ ააშენა მარცვლეულის შესანახი საწყობი და მისი ლოკაციის ადგილად განისაზღვრა ლაგოდეხის რაიონი, რომლის ახლო წარმეობის მქონე ფერმერებს მოყვანილი მარცვლეული უნდა ჩაებარებინა. რომელსაც შეინახავდნენ და შემდეგ ბაზარზე, როოდესაც ყველაზე დიდი ფასი იქნებოდა გაყიდვად, მაგრამ სიმინდის შესახებ პროექტმა არ გაამართლა. (იგივე...)

სოფლის მეურნეობის განვითარების ფარგლებში შეიქმნა შპს “საკვების წარმოების კომპანია”, რომელიც 2012 წლის დასაწყისში „სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდმა“ შექმნა. მისი ფუნქცია საკვები პროდუქტებით ვაჭრობა და პროდუქციის გამრავალფეროვნება იყო. შემდგომ პერიოდში მისი პარტნიორი გახდა შპს „აგრექსი“, რომელიც ფლობს წლის 41.25%-ს დარჩენილი წლის გაყიდვის შემთხვევაში შესყიდვის უფლებით. კომპანია ფლობს ნატახტარის ტერიტორიაზე სამაცივრე საწარმოს და გააჩნია საჭირო ტექნიკა პროდუქციის სწრაფი გაყინვისათვის. მისი მოვალეობა ხილისა და ბოსტნეულის ჩაბარება, მაღალი ტექნოლოგიებით გაყინვა.

აღნიშნულმა სწარმომ მოგვიანებით კარხი განიცადა, სოფლის მეურნეობის განვითარების ფარგლებში რეგიონში მოსახლეების მიერ მოყვანილი ხილი და ბოსტნეული არ აღმოჩნდა საჭირო რაოდენობისა და ხარისხის, რის გამოც კომპანიამ ვერ შეძლო ეწარმოებინა დაგეგმილი საქმიანობა. მან განიხილა ის თემაც, რომ თვითონ

ეწარმოებინა ბოსტნეულისა და ხილის მოყვანა, მაგრამ ეს დამატებით ინვესტიციებთან იყო დაკავშირებული. (იგივე...)

მნიშვნელოვანია ნაშრომის ფარგლებში განხილულ იქნას სს „სოფლის მეურნეობის კორპორაციაზე“. მისი შექმნა 2010 წელს მოხდა სახელმწიფოს მიერ აგრარული პროექტების ორგანიზებისათვის და მოყვანილი პროდუქტების ხარისხისა და რაოდენობის გასაუმჯობესებლად. ისე კომპეტენციაში შედიოდა ისეთი პროდუქტების წარმოება, როგორცაა: მარცვლეულის კულტურები, მოცვის მოყვანის გეგმა, მარცვლეულის გასაშრობი შენობა და სასუქით მომარაგება პროგრამით გათალისწინებულ შემთხვევაში.

მოგვიანებით, 2012 წელის ოთხივე კომპანია გაერთიანდა და მის ბალანსზე იმყოფება ყველა სარწყავი და სადრენაჟე არხი, რომელიც გააჩნია საქართველოს. (იგივე...)

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული კომპანია ერთადერთია, რომელიც სარწყავი წყლითა და სადრენაჟე მომსახურებით უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის“ მენეჯმენტი ტარიფების დაწესებაში შეზღუდულია და მას მარეგულირებელი ორგანო განსაზღვრავს.

მიუხედავად მონოპოლური პოლიტიკისა, კომპანია ეკონომიკური თვალსაზრისით დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ თანხებზე ბიუჯეტიდან, რისი ძირითადი მიზეზი არის, თანხის აღრიცხვისა და ამოღების სიძნელე, რომელსაც იწვევს საქართველოში არსებული ფერმერთა ეკონომიკური მდგომარეობის სისუტით.

ნაშრომში განხილული სოფლის მეურნეობის განვითარების მცდელობები სახელმწიფოს მხრიდან ყველა შემთხვევაში კრახით დამთავრდა. ფაქტია, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოების როლი ეკონომიკის სფეროში არის უმნიშვნელო. ის ვერ ახორციელებს მოგების მოტანას და ბიუჯეტში თანხის შეტანას. პირიქით, მისი დაფინანსება და ადგილობრივი მოსახლეების დახმარება, რომლებიც დამოკიდებულნი არიან სოფლის მეურნეობის წარმოებაზე და საჭიროებენ სახელმწიფოს მხრიდან დახმარებას, მათ უზრუნველყოფს აღნიშნული კომპანია,

რომელსაც ევალება ორგანიზება, ვერ უზრუნველყოფს ხარჯის დაფარვას და მას სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუდმივად აფინანსებს.

2.3 სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

სოფლის მეურნეობის ეკონომიკური პერსპექტივები ძირითადად რესურსთობლიობას ემყარება. ეკონომიკური რესურსები ეროვნული სიმდიდრე და უცვლელი საშუალებებია. დღეს კი მათ გამოყენებას დიდი როლი ენიჭება. ეს კი მომავალში წარმატებული სტრატეგიის პერსპექტივაა.

ჩვენი ქვეყნის აგრარულ სექტორში რესურსების გამოყენებისა და მათი შეფასებისას მხედველობაში უნდა მივიღოდ მთიანი რელიეფი, რომელიც ზეგავლენას ახდენს საქართველოს მეურნეობაზე. იგი ამცირებს სასოფლო მიწების ფონდს, ამცირებს მექანიზაციის შესაძლებლობებს და ზრდის შრომატევადობას.

ჩვენს ქვეყანაში არსებული ამოცანები ადრე ხორციელდებოდა არცთუ ისე მარტივ ეკონომიკურ პირობებში, რამაც დღევანდელ მდგომარეობაზე ძალიან ცუდად იმოქმედა.

ახალი სამეურნეო კულტურების შემოტანამ ზეგავლენა მოახდინა წარმოებაზე და ასევე მთელი ქვეყნის ეკონომიკაზე

ცვლილებებმა დადებითი ზეგავლენა მოახდინა ასევე სტრუქტურული თვალსაზრისით. სოფელი ორი სტრატეგიული მიმართულებით განვითარდა. გამოიკვეთა დარგები მაგ: მევენახეობა და მეღვინეობა. მეორე მიმართულება კიეს იყო სასურსათო მნიშვნელობის დარგების დაჯგუფება.


სოფლის მეურნეობა განსაკუთრებული ნიშანთვისებებით გამოირჩევა:

სოფლის მეურნეობა პირდაპირკავშირშია ბუნებრივი გარემოს გამოყენებასთან მეურნეობის წარმოების პერიოდები და სეზონური პერიოდები ერთმანეთს არ მეთხვევა

სოფლის მეურნეობაზე ბიოლოგიური კანონების მოქმედებს

სოფლის მეურნეობის კანონზომიერებების საფუძველზე ირკვევა, რომ ბოლო დროს მოხდა დადებითი ცვლილებები გარემოს გამოყენებისა და ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისი

არასახარბიელო ეკონომიკური პირობების გამო და იმის გამო რომ არ არსებობს გარანტირებული ბაზარი, მოსახლეობას უწევს უპირატესობა მიანიჭოს სასურსათო პროდუქციის წარმოებას. 2019 წელს ჩატარებული კვლევებიდან შედეგები თვასაჩინოებისატვის იხილეთ დიაგრამა N5 სახით ნ გამომიდარე:



(საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური)

ანალიზით დადგინდა რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა ბოლოხანებში იზრდება რაც დაახლოებით 148,1%-ს შეადგენს. მიუხედავად ამისა ყოველწლიური მატება არც თუ ისე მაღალია. შეიძლება ითქვას რომ დაბალიცაა რომელიც ვერ უზრუნველყოფს მაღალ დონეს. (დევიძზე, 2017. 11)

ზემოთხსენებული დისპროპორციების აღმოსაფხვრელად საჭიროა:

- დამუშავებაში მყოფი მიწების გადიდებას
- მეჩხერიანობის აღმოფხვრის ხარჯზე გაიზარდოს მრავალწლიანი კულტურების განვითარების ტემპი
- საკვები კულტურის მოსავლიანობის გაზრდით და პროდუქციაში წონის გაწონასწორებით დავაჩქაროთ მეცხოველეობის განვითარება

სოციალური მედიითა და მედიასაშუალებებით სამინისტროს მიერ დასახელდა რიგი პრობლემები სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით, რის შემდეგაც საუბარი იყო ამ პრობლემების აღმოფხვრის გზებზე:

ამჟამად საქართველოში გამოყვანილი სურსათის მნიშვნელოვანი ნაწილი გატანილია ქვეყნის გარეთ, მაშინ როდესაც ქვეყანას შეუძლია, გარკვეული პროდუქციით როგორ შიდა ბაზრის მოთხოვნები, ასევე გახდეს აგრარული ნაწარმის ნეტო-ექსპორტიორი.

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განაცხადა, რომ მჭიდროდ კავშირი ექნება კერძო სექტორთან, რათა გააფართოვოს ქართული პროდუქტების წარმოება და მის რეკლამირებას

ადგილობრივი პროდუქციის რეკლამა გაშუქდება მედიასაშუალებებით და მომზადდება საინფორმაციო ბუკლეტები. როგორც ქართველ ფერმერებს, ასევე ქართველ მეწარმეებს საშუალება ექნებათ, იმონაწილეონ არამხოლოდ ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო გამოფენებში. (იგივე... გვ. 18)

გაუმჯობესდება კავშირი საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციებთან. მოხდება ქართული პროდუქციის ქვეყნისგარეთ გატანის პოტენციალის გამოვლენა.

დღეს სოფლის მეურნეობა, ჩვენს ქვეყანაში, საჭიროებს ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. მიუხედავად განცხორციელებული პროექტებისა საქართველოში არ არსებობს აგროსამრეწველო კომპლექსის მოქნილი სისტემა.

განვითარების ახალ ეტაპზე, საქართველო „მაგიურ“ წრეშია- ფასების ზრდისგამო შეჩერებულია წარმოების განვითარება რომლის გარეშე ინფლაციის პრობლემის გადაჭრა შეძლებელია. ერთადერთი ხელმისაწვდომი გამოსავალი საბანკო სისტემაა, რომელის თანდათან ვითარდება. (იგივე... გვ. 18)

საქართველოს აგრარულსექტორში გამართული რეფორმების პირველი ნაბიჯების გამოცდილება, ცვლილებები საზოგადოებაში და ასევე შედეგები იქნება მიზეზი ქვეყნის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის წინსვლისა.

დღეისთვის ჩვენს ქვეყნის სოფლის მეურნეობას ყოველგვარი მხარდაჭერა სჭირდება. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია:

- ბუნებრივი და კლიმატური პირობების მრავალფეროვნება
- სასოფლო დას სამეურნეო ფასების მაღალი დონე

- კაპიტალთან და კლავლაწარმოებასთან დაკავშირებული პროცესების ნელი ბრუნვა
- სტიქიებთან დაკავშირებული რისკები

საქართველოს აგრარული ბაზრის ეკონომიკური ღონისძიებები არ გაამართლებს თუ არ ჩამოცილდება დარბკოლებების ფაქტორები და თუ არ ამოქმედდება ხელშემყოფი ძალები. ამის შემდეგ კი აგრარულ სექტორში წინა პლანზე გადმოიწევს სხვა ფაქტორები რომლებიც უბიზგებენ ეკონომიკური ფაქტორების წინსვლას და გაძლიერებას.

საბოლოოდ კი შეიძლება ვთქვათ, რომ აგრარულად განვითარებულ ქვეყანაში, სახელმწიფოს როლი ძალიან დიდია ეკონომიკის გაწონასწორებაში. ეს ქმედება კი ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რადგან ჯერ არ გვაქვს განვითარებული საბაზრო ინფრასტრუქტურა. აგრარული სექტორის სამართავად, აცუილებელია უახლოეს დროში შეიქმნას მეცნიერულად დადასტურებული რეკომენდაციები და აგრარული სფეროს განვითარების პროგრამა.

მაგრამ ამ ბუნებრივ რესურსებს ახლავს თან გვერდითი უარყოფითი მოვლენები, რაც საჭიროებს დახმარება სახელმწიფოს მხრიდან. ეს არის კლიმატური ცვლილებები და სეზონური წვიმები და გვალვები. (იგივე... გვ. 18)

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის საჭირო ბუნებრივს და კლიმატური რესურსის ქონის მიუხედავად, საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორში ჩატარებული ყველა რეფორმა თითქმის კრახით დასრულდა ბოლო 10 წლის განმავლობაში. საბჭოთა კავშირის დაშლის და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სოფლის მეურნეობა განიცდის დაღმასვლას. საკითხის უკეთ შეცნობისათვის იხილეთ ცხ. N1


(საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

სოფლის მეურნეობაზე საუბრისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს მესაქონლეობის როლი, ისევე როგორც მიწათმოქმედებას, საქართველოში მისდევდნენ მეცხოველეობას, ყავდათ მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი. განსაკუთრებული პოპულარობით

წელი	ნათესი ფართობი (ჰა)	მსხვილი რქოსანი პირურტყვი (სული)	ღორი (სული)	ცხვარი და თხა (სული)	სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში
1990	702,400	1,478,300	549,612	1,618,547	30,6%
1995	452,100	956,100	354,600	724,100	43,4%
2000	620,800	1,188,200	465,400	627,900	20,9%
2005	597,100	1,200,600	421,300	814,300	18,7%
2006	364,700	1,145,300	355,200	741,200	14,8%
2007	296,300	1,049,500	105,800	799,100	9,7%
2008	321,300	1,095,400	84,800	766,400	10,4%
2009	295,400	1,014,700	124,300	639,400	8,4%
2010	254,800	1,088,600	110,200	655,200	7,4%
2011	272,400	1,077,100	100,200	631,500	9,8%
2012	278,700	1,130,400	240,100	792,600	9,6%
2013	341,100	1,242,900	190,700	852,900	8,4%

სარგებლობს ოდითგანვე დიდი რაოდენობით სხვრის ყოლა. მეცხვარეობა ძირითადად განვითარებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რეგიონში. თუმცა ღორსა და მსხვილფეხა პირურტყდაც ყოლიობდნენ. მეტი სიხადისათვის იხილეთ დიაგრამა N 6


საქონლის სახეობების მიხედვით. სტატისტიკური მონაცემები 1990-2013



(სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტატისტიკა)

ასევე იხილეთ დიაგრამა N 7, რომელზეც ასახულია ნათესებით მიწის დაფარვის ფართობი.


ნათესებით მიწის დაფარვის ფართობი 1990-2013 წლების მიხედვით



(სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტატისტიკა)

მნიშვნელოვანი აღინიშნოს, რომ 2010-2013 წლების შემდგომ განხორციელდა ცვლილებები და სახელმწიფოს მიდგომა სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო და შემდგომი წლები უფრო მზარდი მაჩვენებლით და

ფიქსირდა. მოხდა განვითარება მწვანელოვანი კულტურების, სათბურების დამოტანა და კერძო მეწარმეების გააქტიურება ბაზარზე. თვალსაჩინოებისათვის



იხილეთ დიაგრამი N8


(სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტატისტიკა)

ასევე მოიმატა მარცვლეულის მოყვანის მაცვენებელმა, ამ დარგში შეიქმნა სასაწყობე პირობები, და რამოდენიმე მოსავლიანმა წელმა გამოიწვია ინვესტორებისა და ფერმერების ყრუადღება მარცვლეულის წარმოებასთან დაკავშირებით. მეტი თვალსაჩინოებისათვის იხილეთ გრაფიკი N9

მარცვლეული, კარტოფილის და ბოსტნეულის წარმოების მაჩვენებელი 2014-2018 წლების მიხედვით

(სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტატისტიკა)

ასევე გაიზარდა მერეობის წილის ზრდა შიდა პროდუქტზე. მეტის სიცხადისათვის იხილეთ დიაგრამი N 10



(სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტატისტიკა)

აღნიშნული სტატისტიკა მეტყველებს იმაზე, რომ სოფლის მეურნეობის წილი არის ძალზედ მცირე ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თვლასაზრისით, მიუხედავად სახელმწიფოს მცდელობის განავითაროს ის.

ამ საკითხის განხილვა განხორციელდა ფერმერებთან და გაირკვა, რომ ისინი საწიროებენ ტექნიკას დაჭრო სამუშაოების შესასრულებლად, ამიტომ მთავრობის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დაეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნა ახლო მოვალში. ამ დაპირების გათვალისწინების შედეგად პროგრამისთვის ბიუჯეტთან გამოყოფილ იქნა 4 მილიონი ლარი.

ამჟამად სოფლის მეურნეობის სექტორისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაყოფიერი მიწები ყველა საკუთრებაშია, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო ბაზრისთვის აუცილებელი საკითხი - მიწის თავდაპირველი რეგისტრაცია, კვლავაც ძნელადმოსაგვარებელ პრობლემად რჩება. (დევიძუე, 2017. 13)

იმისათვის, რომ წარმატებით განხორციელდეს სოფელში მიწის მართვის პოლიტიკა, საჭიროა ერთმანეთისგან გამოიყოს სახელმწიფო, მუნიციპალურ და კერძო საკუთრებაში მოქცეული კუთვნილი მიწები.

საკუთრების უფლების მისაღებად ამ მიწებზე მნიშვნელოვანია მისი რეგისტრაცია. ასევე აღსანიშნავია, რომ საკუთრებაში მოქცეული საძოვრების რაციონალურ გამოყენებაზე პასუხისმგებელი ადამიანი განსაზღვრული არ არის, რის შედეგადაც, წარმოიქმნება საკუთრების მართვის პრობლემები, რაც იწვევს უარყოფით შედეგებს, როგორებიცაა დაბალი წველადობა და ასევე მცირე წონამატი.

საერთო საკუთრებაში შესული საძოვრები ამწვავებს ინვაზიურ დაავადებათა კონტროლის პრობლემასაც. საქართველოში მოქმედი მიწის კადასტრი მხოლოდ გეოგრაფიულ და იურიდიულ სისტემას მოიცავს და ასევე უფლებრივ მხარეს, საჯარო რეესტრის სააგენტოში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწის 20-30%- ია რეგისტრირებული. (იგივე... გვ. 14)

ქვეყანაში მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის არარსებობის შემდეგ, 2004 წლიდან, მიწის ბალანსი არ გაკეთებულა, აგრეთვე ყურადღებაგასამახვილებელია მიწის დანიშნულების შეცვლის შემთხვევები და შედეგად, უცნობია როგორც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განაწილება და ასევე მათი ფართობი, სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი, რაც, თავის მხრივ, ძალზედ ართულებს მეურნეობის განვითარებისთვის ჩასატარებელ ღონისძიებებს. (იგივე... გვ. 18)

აუცილებელია სრულყოფილი მიწის კადასტრის შექმნა და მიწათსარგებლობის ელექტრონული სისტემის დანერგვა და გავრცელება. მიწის ნაყოფიერების შემცირება გამოიწვია თანამედროვე ტექნოლოგიების, საბაზისო ცოდნისა და კაპიტალისა ნაკლებობამ. არსებული საირიგაციო და სადრენაჟო სისტემები დაუყოვნებლივ რეკონსტრუქციას მოითხოვს, რის გამოც ფერმერთა უმნიშვნელო რაოდენობა ახდენს მიწის ან წყლის რესურსების, ნედლეულის (მომსახურების) მიწოდების, ან სოფლის მეურნეობის ყველანაირი სახის მომსახურებით სარგებლობას. (იგივე... გვ. 18)

თავი III. სოფლის მეურნეობის დახმარების პროგრამა, როგორც მოქალაქეთა თანამონაწილეობის ინსტრუმენტი

3.1 სოფლის მეურნეობის დახმარების პროგრამის გამოწვევები

ნაშრომის თემიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია განვიხილოთ პროექტი, რომელიც განახორციელა ეკონომიკური კვლევის ცენტრმა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მეშვეობით. 2010 წელიდან საქართველოში ხორცილდება სოფლის დახმარების პროექტი, რომლის მიზანია სოფლის მეურნეობის განვითარება და მასში რაც შეიძლება მეტი ადამინის ჩართვა/თანამონაწილეობა. (EPRC, SIDA, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, 2011. 3)

სოფლის დახმარების პროგრამის მონიტორინგმა და ეკონომიკური მიმართულების კვლევის ცენტრმა, მასმედიის წარმომადგენლებთან ერთად განახორციელეს აღნიშნული პროექტის მონიტორინგი, რომლის ფარგლებში გამოკითხულ იქნა პროგრამაში მონაწილე მოსახლეობა. აღნიშნული მონიტორინგი ჩატარდა საქართველოს ხუთი რეგიონის 50 სოფელში. ეს რეგიონები იყო:

- იმერეთი
- ქვემო ქართლი
- სამცხე-ჯავახეთი
- კახეთი
- აჭარა

მონიტორინგის მიზანი იყო განესაზღვრა რამდენად სწორად და დასახული პოლიტიკის შესაბამისად ხორცილდებოდა პროგრამა და რამდენად სწორად იყო დახარჯული თანხები. პროგრამის მიზანი იყო მასში მოქალაქეების ჩართულობა და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარება. რაც უნდა განხორცილებულიყო ადგილობრივი მოსახლეობის საჭირო ტექნიკის უზრუნველყოფით. (იგივე...გვ. 4)

გამოყიფილი თანხა უნდა გადანაწილებული იყო შემდეგნაირად:

- 50 სულიანი სოფელი 2000 ლ

- 51- 200 _ 4000 ლ
- 201- 400 _ 5000 ლ
- 401-1000 _ 8000 ლ
- 1000-ზე მეტი 12000 ლ

თანხას ვაუჩერის სახით იღებდა სოფლის მოსახლე და თვითონ წყვეტდა რას შეიძენდა, მას ჰქონდა საშუალება ინდივიდუალურად გადაეწყვიტა რა ჭირდებოდა სოფლის მეურნეობის სამუშაოების შესასრულებლად. ასევე შესაძლებელი იყო პროექტის ფარგლებში, რომ მათ არ შეეძინათ სუბიექტურად საჭირო საშუალებები და საერთო გამოყოფილი თანხით შეეძინათ ყველასათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, მაგალითად გაეკეთებინათ სარწყავი სისტემა. ყოველივე ამის გადაწყვეტა უნდა მომხმდარიყო პროექტში მოსახლების ჩართულობის მეშვეობით, სოფლის რწმუნებულს უნდა მოექცია სასოფლო კრება და დეტალურად გაეცნო სოფლისატვის პროექტის შესახებ და ერთად მიეღოთ გადაწყვეტილება, ინდივიდუალურად გამოყენებდნენ ამ თანხას თუ საერთო მიზნითვის. (იგივე...გვ. 4])

პროექტის ფარგლებში ჩატარებულმა მონიტორინგმა ცხადყო:

- პროექტში ჩართული მოსახლების საერთო მაჩვენებელი 21-35% იყო. რომელიც არ იყო ინფორმირებული საკუთარი უფლებების შესახებ და პროექტში მონაწილეობის აუცილებლობაზე. მათ არ იცოდნენ რა მიზანი ქონდა პროექტს და რა უნდა მოემოქმედათ, ისინი უმეტესწილად არ იყებდნენ საკუთარ უფლებებს,თუმცა ამის მიუხედავად თვლიდნენ, რომ პროექტი უნდა გაგრძლებულიყო.
- პროექტის დაგეგმვისას გამოყენებული იყო არარეალური მიზნები, რაც ვერ განხორციელდა, მიუხედავად მოსახლეობის ჩართულობისა, ვერცერთი მიზანი ვერ იქნა მიღწეული.
- ამას გარდა არ იყო პროგრამაში გათვალისწინებული მოსახლების მიმართ ანგარიშვალდებული პირის არსებობა, რომელიც თანხების ხარჯვის კონტროლს აწარმოებდა და გაჩენილ შეკითხვებზე პასუხს მისცემდა მოსახლებას.
- ყველაზე პრიორიტეტული ყველა რეგინში იყო გზები და მათი რეაბულიტაცია, თუმცა პროექტში არ აღმოჩნდა საკმარისი თანხები იმისათვის, რომ მოხდარიყო

გზების რეაბილიტაცია. ამისათვის ტანხები იყო მწირი. ხოლო ის ადგილები რაც იქნა რეაბილიტირებული პროექტის ფარგლებში ერთი წლის თვაზე ნალიქისგან ისევ საწყის ეტაპს დაუბრუნა და ხელახალ სამუშაოებს საჭიროებდა.

- მონიტორინგმა ცხადყო, რომ ყველაზე პრობლემურ საკითხებად რჩება გზებისა და წყლის პრობლემა. აღნიშნული პრობლემების მოგვარება არის დიდ თანხებთან დაკავშირებული ამიტომ პროექტის ფარგლებში ვერ მოხერხდა.
- სოფლებმა მიირეს დაფინანსებულიყო უფრო ნაკლებ ბიუჯეტისანი პროექტები, რაც გულისხმობდა სხვადასხვა სახის დაწესებულების სახლების რემონტს.

მონიტორინგმა ცხადყო, რომ მუშაობის შესრულების დროს დარღვეულია ფუნდამენტური მიზნები პროექტის, რაც გულისხმობს სამსაობის დროულად შესრულებას და ის არ უნდა ყოფილიყო ერთჯერადი, მაქსიმალურად უნდა დასაქმებულიყვნენ ადგილობრივი მოსახლეობა.

აღნიშნული პროექტის მონიტორინგის ანალიზზე დაყრდნობით გამოიკვეთა შემდეგი სახი გამოწვევები:

- მოსახლეობის ინფორმირებულობა, პროექტის მნიშვნელობისა და საკუთარი რილოს გაცნობა პროექტში, უფლებების დაცვის ცოდნა.
- მოსახლეობის დატრენინგება და სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით ახალი მეთოდების შესწავლა, სამუშაოს გაადვილების მიზნით და უკეთესი ხარისხისა და რაოდენობის მოსავლის მიღებისათვის.
- ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ახალი ტექნოლოგიების და ინოვაციების დაგეგმვა. ამ მხრივ არსებული პრობლემის მყისიერად გადაჭრა.
- ინფრასტრუქტურის და გზების რეაბილიტაცია.
- სწორი დაგეგმვა და პრიორიტეტებს სწორად განსაზღვრა. (მაგ. თუ სოფელს არ აქვს სამელი წალი ან გზა, პრიორიტეტულია ამ პრობლემის მოგვარება, ვიდრე რომელიმე შენობის რეაბილიტაცია.ოფლის მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობა და მონიტორინგის საშუალება ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.
 - აღნიშნული პროექტის მთავარ გამოწვევად მიჩნეულ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში მიჩნეულ იქნა: სოფლის მეურნეობის სფეროში მოსახლეობის ჩართვა,

- მცირე ფერმერთა საქმიანობის გაფართოვება,
 - არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დივერსიფიკაცია
- სოციალურ-ეკონომიკური და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება

3.2 სოფლის მეურნეობის დახმარების პროგრამის შედეგების და შემდგომი პერიოდის სტატისტიკის ანალიზი

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ხელშეწყობის პროგრამები კვლავ გარძელდა სხვადასხვა სახით. ესენი იყო „სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა 2012-2022“ . არნისნული პროგრამის პრიორიტეტებს განსხვავდება სოფლის მეურნეობის დახმარების პროექტს, აქ ურო ნაკლებია მოსახლების ჩართულობა და პირდაპირი დულათი თანხით დახმარება არ ხორციელდება. (სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა 2012-2022)

აღნისნული პროექტის მიზანია მსხვილი სამეწარმეო ბაზის შექმნა და ეკონომიკის სფეროში სოფლიე მეურნეობის სექტორის შექმნა, მოსახლების სასურსათო მოთხოვნილების დაკმაყოფილება და ინპორტის შემცირება. კონკურენტუნარიანი ადგილობრივი ნაწარმის შექმნა.

სახელმწიფოს პოლიტიკა და მიდგომა შეიცვალა სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით. 2010 წლდან მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. რ საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული ასოცირების ხელშეკრულების თანახმად, საქართველო იღებს ვალდებულებას რაც მიდგომარეობდ აიმაში, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების ხელშეწყობის ფარგლებში დაეკისრა სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, რამაც გამოწვია არსებული პროექტის გაგრძლება, თუმცა სხვა პრიორიტეტებით. (იგივე...)

სოფლის მეურნეობის განვითარების დახმარების კუთხით, ევროკავშირი ქვეყნის მთავარი დონორია. დახმარების მიზანი 2014-2017 წლების სტრატეგიულ ჩარჩო-ხელშეკრულებაში შემდეგნაირადაა ფორმულირებული: “სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ზრდა, მცირე ფერმერების ცოდნის გაუმჯობესება და მათთვის უახლესი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის

ხელმისაწვდომობა, ასევე, მათი როლის ზრდა კომერციულ ფერმერულ საქმიანობაში“.
(სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2012-2014)

ზემოთ აღნიშნული ამოცანის შესარულებლად ევროკავშირის 2013-2018 წლებისთვის ENPARD-ის ბიუჯეტი საქართველოში 102 მილიონ ევროს შეადგენს. აქედან 2013 – 2016 წლების ბიუჯეტის საერთო მოცულობა 52 მილიონი ევროა. მისი მთვარი მიზნებია:

- სოფლის მეურნეობის სფეროში მოსახლეობისა ჩართვა,
- მცირე ფერმერთა საქმიანობის გაფართოვება,
- არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დივერსიფიკაცია
- სოციალურ-ეკონომიკური და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება სოფლებში. (სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა 2012-2022)

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა ითვალისწინებს არამარტო მსხვილი და საშუალო დონის მეწარმეების დაფინანსებასა და გრანტის გაცემას, არამედ იმ მოსახლეობის, რომელთაც მხოლოდ შინამეურნეობა აქვს და წარმოაჩენს იმის პოტენციალს, რომ განავითაროს საკუთარი საქმიანობა, ამისათვის კი საჭიროა მოსახლეობასთან კონსულტაციების გავლა და მაქსიმალური ჩართულობა მათი.

დასკვნა

დასკვნის სახით შესაძლოა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობას ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში დიდი როლი აკისრია. სოფლის მეურნეობა აწარმოებს იმ სახის პროდუქციას რაც მნიშვნელოვანი და აუცილებელია ადამინების კვებისა და არსებობისათვის. მსოფლიოში მიმდინარე ეკოლოგიური პროცესებიდან გამომდინარე, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ქვეყნის შიდა ტერიტორიაზე პროდუქტების წარმოება რადგანაც იმპორტის შემოტანა ქვეყანაში გაძვირებულია.

ნაშრომის თემის ნაშრომის თემის განხილვამ ცხადო, რომ საქართველოს მიმდინარე ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობით და მისთვის როგორც ქვეყნისათვის სოფლის მეურნეობის განვითარების მნიშვნელობით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ის აღმოჩნდა მძიმე ეკონომიკურ კრიზისში და ამ კრიზისი დასაძლევად მრავალი წელი დასჭრიდა. დღეისათვის ის იმყოფება გარდამავალი ეკონომიკის რეფორმის პროცესში და მის ერთ-ერთ სტრატეგიაში შედის სოფლის მეურნეობის განვითარება.

როგორც უკვე იქნა აღნიშნული, საქართველო წარმოადგენს გარდამავალი ეკონომიკის რეფორმის პროცესში მყოფ ქვეყანას, ამავდროულად ის მიეკუთვნება პატარა ერებს, ამიტომ მისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია მისთვის სოფლის მეურნეობის განვითარება. ამავდროულად სოფლის მეურნეობის განვითარების სტიმულირება, რაც ხორციელდება 2010 წლიდან მაგრამ საჯაროდ მუდმივად ხდება განხილვა მისი უარყოფითი მხარეებს და დასახული მიზნის ვერ შესრულების. მნიშვნელოვანი ცვლილება ამ სფეროში ვერ განხორცილდა.

საქართველოში სოფლის დახმარების პროგრამამ 2010 წლიდან აიღო სათავე და დღემდე ხორციელდება. პროგრამის მიზანია იმ სოფლების დახმარება, რომლებსაც სხვადასხვა ტიპის პრობლემები აქვთ და მათ გადაჭრას თავად სოფლის მოსახლეობის ჩართულობით ცდილობენ. სოფლის მეურნეობის დახმარების პროგრამის მიზანია სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიური პრობლემების მოგვარება და ამ პრობლემებში მოსახლეობის ჩართულობის მხარდაჭერა.

სოფლის მეურნეობის დახმარების პროგრამის მიხედვით, გამოიყოფა ბიუჯეტი, რომელიც გადაეცემა კონკრეტულ მუნიციპალიტეტებს ან უბნის რწმუნებულს. სწორედ, მათზეა დამოკიდებული რამდენად კანონიერად და სამართლიანად ჩაივლის ესა თუ ის ღონისძიება. ისინი ვალდებულიებიან არიან გააგებინონ მოსახლეობას ამის შესახებ, მოიწვიონ ე.წ. კრება და შემდეგ გადაწყვიტონ რა არის პრიორიტეტული სოფლისთვის და შესაბამისად, რაში უნდა დაიხარჯოს გამოყოფილი თანხა. სოფლის მეურნეობის დახმარების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები აუცილებლად საჯარო მოხმარების უნდა იყოს, რადგან მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა შეძლოს მისი გამოყენება. ამავდროულად, მნიშვნელოვანია ისიც რომ შესრულებული სამუშაო იყოს გრძელმასშტაბიანი და სამუშაო პროცესში, მაქსიმალურად, იყოს სოფლის მოსახლეობა ჩართული.

თუმცა აღნიშნული პროექტის მონიტორინგმა ცხადყო, რომ პროექტი არ იო წარმატებული და მან განიცადა კრაზი. მიზეზად მიჩნეულ იქნა პროექტში მოსახლეინის ნაკლებად ჩართულობა.

პროექტში ჩართული მოსახლების საერთო მაჩვენებელი 21-35% იყო. რომელიც არ იყო ინფორმირებული საკუთარი უფლებების შესახებ და პროექტში მონაწილეობის აუცილებლობაზე. მათ არ იცოდნენ რა მიზანი ქონდა პროექტს და რა უნდა მოემოქმედათ, ისინი უმეტესწილად არ იეყებდნენ საკუთარ უფლებებს, თუმცა ამის მიუხედავად თვლიდნენ, რომ პროექტი უნდა გაგრძელებულიყო.

პროექტის დაგეგმვისას გამოყენებული იყო არარეალური მიზნები, რაც ვერ განხორციელდა, მიუხედავად მოსახლეობის ჩართულობისა, ვერცერთი მიზანი ვერ იქნა მიღწეული. ამას გარდა არ იყო პროგრამაში გათვალისწინებული მოსახლების მიმართ ანგარიშვალდებული პირის არსებობა, რომელიც თანხების ხარჯვის კონტროლს აწარმოებდა და გაჩენილ შეკითხვებზე პასუხს მისცემდა მოსახლეობას.

ყველაზე პრიორიტეტული ყველა რეგინში იყო გზები და მათი რეაბილიტაცია, თუმცა პროექტში არ აღმოჩნდა საკმარისი თანხები იმისათვის, რომ მოხდარიყო გზების რეაბილიტაცია. ამისათვის ტანხები იყო მწირი. ხოლო ის ადგილები რაც იქნა რეაბილიტირებული პროექტის ფარგლებში ერთი წლის თვაზე ნალიქისგან ისევ საწყის ეტაპს დაუბრუნა და ხელახალ სამუშაოებს საჭიროებდა.

მონიტორინგმა ცხადყო, რომ ყველაზე პრობლემურ საკითხებად რჩება გზებისა და წყლის პრობლემა. აღნიშნული პრობლემების მოგვარება არის დიდ თანხებთან დაკავშირებული ამიტომ პროექტის ფარგლებში ვერ მოხერხდა. სოფლებმა მიირეს დაფინანსებულიყო უფრო ნაკლებ ბიუჯეტისანი პროექტები, რაც გულისხმობდა სხვადასხვა სახის დაწესებულების სახლების რემონტს.

მონიტორინგმა ცხადყო, რომ მუშაობის შესრულების დროს დარღვეულია ფუნდამენტური მიზნები პროექტის, რაც გულისხმობს სამსაობის დროულად შესრულებას და ის არ უნდა ყოფილიყო ერთჯერადი, მაქსიმალურად უნდა დასაქმებულიყვნენ ადგილობრივი მოსახლეობა.

დასკვნის სახით საქართველოში სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის მთვარ პრიორიტეტებად მიჩნეულ იქნა სოფლის მეურნეობის სფეროში მოსახლეობისა ჩართვა, მცირე ფერმერთა საქმიანობის გაფართოვება, არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დივერსიფიკაცია სოციალურ-ეკონომიკური და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

გამოყენებული ლიტერატურა

- Anderson (2008), *Palgrave Macmillan and World Bank*, London and Washington D.C.: 2006
Equilibrium Effects of Price Distortions on Global Markets, Farm Incomes and Welfare. |
ed. Kym (2009), *In Distortions to Agricultural Incentives: A Global Perspective 1955-2007*,
Washington, DC
- Jacques Jean Dethier (2011), *Agriculture and Development: A Brief Review of the Literature*,
Washington D.C
Impact and Policy Responses. Policy Research Working Paper No. 4738, World Bank,
Washington D.C. 2008
- Rostle, Ronald (2008), *Global Agricultural Supply and Demand Factors Contributing to the
2008*, Washington D.C.
- Valenzuela, Ernesto, Dominique van der Mensbrugghe and Kym Anderson (2009), *Welfare
and poverty effects of global agricultural and trade policies using the Linkage model*, Washington,
DC
- Von Braun, Joachim and Maximo Torero. 2009, *Physical and virtual global food reserves to
protect the poor and prevent market failure*, Washington, DC
- Webb, Patrick and Thomas Reardon (1992), *Drought Impact and Household Response in East
and West Africa*. | *Quarterly Journal of International Agriculture*, Washington, DC
- Wodon, Quentin and Hassan Zaman (2008), *Rising Food Prices in Sub-Saharan Africa: Poverty
Impact and Policy Responses*, Washington, DC
- A World Bank Policy Research (2003), *Land Policies for Growth and Poverty Reduction*,
Washington D.C. and Oxford World Bank and Oxford University Press
- აბაშიძე გ. (2008), „სოფლის მეურნეობის საფუძვლები“, ნათლისმცემელი თბ.
- დათუნაშვილი ლ. (2018), „გლობალიზაციის გავლენა სოფლის მეურნეობის
განვითარებაზე“, თბილისი
- ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში (2019), „საქართველო სოფლის
განვითარების ევროპული გამოცდილებით ისარგებლებს“, თბილისი

კელიხაშვილი მ. (2010), „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობისა და ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები“, სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი, თბილისი

რუხაია-მოსემღვდლიშვილი ნ. (2015), „ექსპორტის მასტიმულირებელი აგრალური პოლიტიკა საქართველოში“, უნივერსიტეტი გამომცემლობა, თბილისი

„საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020 (2017), მომზადებულია ეკონომიკისა და სოფლის სამინისტროს ხელსეწყოებით, თბილისი

„სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორების შეფასება აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებში საქართველო“, უნგრეთი 2012

საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო (2019), „საქართველო სოფლის განვითარების ევროპული გამოცდილებით ისარგებლებს“, თბილისი

ელექტორული რესურსები

Основные тенденции развития сельского хозяйства в мировой экономике
[/http://finuni.ru/osnovnye-tendencii-razvitiya-selskogo-hozyaystva-v-mirovoy-ekonomike/](http://finuni.ru/osnovnye-tendencii-razvitiya-selskogo-hozyaystva-v-mirovoy-ekonomike/)
2018

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2012-2022 წლების სტრატეგიის
დამტკიცების შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2280820?publication=0>

ოქროს საბადოსთან ცხოვრების საფასური: კომპანია „არმეჯის“ საქმიანობის
ეკონომიკური და სოციალური გავლენები მოსახლეობაზე 2018 წ

https://ge.boell.org/sites/default/files/uploads/2019/02/okros_sabadostan_cxovrebis_sapasuri.pdf

კვლევის დაგეგმვა განათლების სფეროში 2015წ

<https://www.qwelly.com/group/sociology/forum/topics/dagegmva>

სოფლის დახმარების პროგრამის ახალი ეტაპი საქართველოში, ლიბერალი, 5016 წ
file:///C:/Users/naniko/Downloads/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90%20(1).pdf

სოფლის დახმარების პროგრამის ახალი ეტაპი საქართველოში 2017 წ

<https://www.radiotavisupleba.ge/a/soplis-dakhmarebis-akhali-programa/27908658.html>

მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწა 2014 წ

http://geostat.ge/?action=news_archive&lang=geo

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორების შეფასება აღმოსავლეთ
პარტნიორობის ქვეყნებში, საქართველოში: 2015 წ

http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/Georgia_Assesment_FINAL_GEO_GEO.pdf

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020

<http://www.moa.gov.ge/Download/Files/226>

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წწ

სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში 2016 წლისთვის

<http://www.moa.gov.ge/Download/Files/282>

სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოები და მათი როლი დარგის განვითარებაში 2016 წ

https://idfi.ge/public/upload/pdf/Research/SOEs_article_07.05.2014.pdf

საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 2018

წ, [http://www.ei-lat.ge/images/doc/20%20Years%20of%20Independence-](http://www.ei-lat.ge/images/doc/20%20Years%20of%20Independence-Transformation%20of%20Georgian%20Agricultural%20System.pdf)

[Transformation%20of%20Georgian%20Agricultural%20System.pdf](http://www.ei-lat.ge/images/doc/20%20Years%20of%20Independence-Transformation%20of%20Georgian%20Agricultural%20System.pdf)

სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს მონაცემები 2017წ.

<http://apma.ge/projects>

სოფლის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა იწყება. 2015წ

<http://www.moa.gov.ge/m/News/1158>

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ევროკავშირის მხარდაჭერით 12

მილიონი ევროს ღირებულების პროექტი იწყება 2019 წ. [http://enpard.ge/ge/saqarthveloshi-sophlis-](http://enpard.ge/ge/saqarthveloshi-sophlis-meur/)

[meur/](http://enpard.ge/ge/saqarthveloshi-sophlis-meur/)

დიაგრამების და ცხრილების ნუსხა

1. დიაგრამა N1. მცირემიწიანობა - მიწის გამოყენების მიხედვით საქართველოს ტერიტორია 28
2. დიაგრამა N. 2 პრივატიზირებული სავარგულები 29
3. დიაგრამა N. 3 უცხოური ინვესტიცია 30
4. დიაგრამა N. 4 სახელმწიფო ბალანსზე მყოფი საწარმოები რაოდენობის მიხედვით..42
5. დიაგრამა N. 5 2015-2018 წლებსი წარმოებული პროდუქციის ღირებულება46
6. დიაგრამა N.6 საქონელის სახეობების მიხედვით. სტატისტიკური მონაცემები 1990-2013..... 47
7. დიაგრამა N 7. ნათესებით მიწის დაფარვის ფართობი 1990-2013 წლების მიხედვით 50
8. დიაგრამა N 8 მრავალწლიანი კულტურების წარმოება ატასი ტონა 51
9. დიაგრამა N 9. მარცვლეული, კარტოფილის და ბოსტნეულის წარმოების მაჩვენებელი 2014-2018 წლების მიხედვით 52
10. დიაგრამა N 10. მეურნეების წეილი შიდა პროდუქციაში 53
11. ცხრილი N1. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სოფლის მეურნეობა 49

Ivane Javakishvili Tbilisi State University
Faculty of Social and Political Sciences
Policy Science Master Program

Jenny Tcholadze

Agricultural Assistance Program Achievements and challenges

Master's thesis is done to obtain the Master's degree in Economics

The head of the thesis: Tamar Karaaya,
Doctor of Political Science

Tbilisi -2019